პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 230 (3207) 27 1966 წ. ნოემბერი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ბაქო. ამიერკავკასიის უძლიერეს მოჭადრაკე ვაჟთა ტურნირში, როგორც ცნობილია, მონაწილეობს ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილიც.

• • •

Ф. ШАХТАХТИНСКИЙ
Н. ГАПРИНДАШВИЛИ

სურათზე: ნ. გაფრინდაშვილი თამაშობს ოსტატობის კანდიდატ ფ. შახტახტინსკისთან.

ფოტო ს. კულიშოვისა (საკდესი).

ჭადრაკი

რ. ფიშერმა გამოიწვია

XVII საჭადრაკო ოლიმპიადის დაწყების წინ კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, კუბის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ მიიღო გამოჩენილი უცხოელი მოჭადრაკეები და ესაუბრა მათ.

რ. ფიშერმა ფიდელ კასტროს უთხრა:

— ბატონო პრემიერ-მინისტრო! მე მსურს ოლიმპიადის შემდეგ თქვენთან, ჰავანაში, მატჩი ვეთამაშო დიდოსტატ შტეინს.

ამ განცხადებამ დააინტერესა ჟურნალისტები, რომლებიც შემდეგ ესაუბრნენ ამერიკელ მოჭადრაკეს.

— მე მგონია, — თქვა რ. ფიშერმა, — შტეინს არ სურს მეთამაშოს იმ მიზეზით, თითქოს მატჩი თვითრეკლამისთვის მინდოდეს. რამდენიმე დღის წინ კი იგი უფრო ოპტიმისტურად იყო განწყობილი. ჩვენ ვეთათბირეთ კუბის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტს ბერერასს. შემექმნა შთაბეჭდილება, რომ შტეინი გაურბის ჩემთან თამაშს. მე კი ამ შეხვედრას მოვითხოვ.

პრენსა-ლატინას სააგენტოს პრეს-კონფერენციაზე სსრ კავშირის ჩემპიონმა ლ. შტეინმა ფიშერის გამოწვევის თაობაზე განაცხადა:

— მე და ყოველი საბჭოთა დიდოსტატი მზად ვართ ვეთამაშოთ რ. ფიშერს იმ პირობებით, რასაც იგი გვთავაზობს (10 პარტია ყაიმების ჩაუთვლელად). ჩემი აზრით, ასეთი მატჩი ჭადრაკის მოყვარულთა დიდ ინტერესს გამოიწვევს. მაგრამ ფიშერის წინადადებაა ისიც, რომ მატჩი მოეწყოს აქ, კუბაში, ოლიმპიადის დამთავრებისთანავე. ამას კი ჩვენ ვერ დავეთანხმებით. 21 დეკემბერს იწყება სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალი, რომელიც მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირიცაა და ამიტომ საბჭოთა მოჭადრაკეებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ბუნებრივია, ჩვენ ამ ტურნირის წინ დასვენება და სათანადოდ მომზადებაც გვჭირდება.

1967 წელს კი ფიშერის გამოწვევას სიამოვნებით მივიღებთ და კმაყოფილი ვიქნებით, თუ ამ შეხვედრის ორგანიზაციას კუბა იკისრებს.

ჭადრაკი

XXVI ჩემპიონატი

◆ ნ. ალექსანდრიას 3 ზედმეტი პაიკი აქვს

კიევი, 26 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის VII ტურში ჩაიკოვსკაიამ მოუგო რანიკუს, რუბცოვამ — ტიხომიროვას, იდელჩიკმა — კაკაბაძეს, გოლოვეიმ — კახაბრიშვილს და მუსლიმოვამ — სკეგინას.

5 პარტია გადაიდო. კისლოვა—ზატულოვსკაიას შეხვედრაში მდგომარეობა თანაბარია, ხოლო ალექსანდრიას დიდი უპირატესობა აქვს ვოიციკთან.

◆ პარტია არ შედგა

ბაქო, 26 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს, ამიერკავკასიის უძლიერეს მოჭადრაკეთა ტურნირის VII ტურში, ბაგიროვის ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი პარტია გაფრინდაშვილთან.

ფეხბურთი

„სმენას" ლაურეატები

ჟურნალ „სმენას" რედაქცია სსრ კავშირის საფეხბურთო სეზონის დამთავრების შემდეგ ყოველწლიურად ადგენს საუკეთესო დებიუტანტთა სიას.

რედაქციამ ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად განსაზღვრა 1966 წლის სეზონის ლაურეატები: **მეკარე** ა. აბრამიანი („არარატი"), **დაცვა** — ი. მუსინი („კაირატი"), მ. შერგელაშვილი („დინამო", თბილისი), ა. სიომინი („არარატი"), ნ. დემენტიევი (ასკ, როსტოვი), **ნახევარდაცვა** — ვ. კურილოვი („დინამო", მინსკი), ვ. ნაუმოვი („ზენიტი"), **თავდასხმა** — მ. გერშკოვიჩი, ვ. კოზლოვი (ორივე — „ლოკომოტივი"), კ. ასათიანი („დინამო", თბილისი), გ. ევრიუჟიხინი („დინამო", მოსკოვი).

დარჩა 6 თამაში

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში სათამაშო დარჩა სულ 6 მატჩი.

დღეს თბილისში ერთმანეთს ხვდებიან ადგილობრივი და კიევის დინამოელები, ხოლო ქუთაისში — ადგილობრივი და მოსკოვის ტორპედოელები.

30 ნოემბერს ითამაშებენ: „ნეფტიანიკი" (ბაქო) — „სპარტაკი" (მოსკოვი), „ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (თბილისი), ასკ (ოდესა) — „დინამო" (კიევი), „ტორპედო" (მოსკოვი) — „პახტაკორი" (ტაშკენტი). ეს მატჩი გაიმართება თბილისში.

შესვენების შემდეგ

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა მორიგი შეხვედრა საკავშირო პირველობაზე დუბლიორთა შორის. თამაშობდნენ თბილისისა და კიევის დინამოელები.

გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0. ბურთები შესვენების შემდეგ გაიტანეს ჩარკვიანმა და მიქაშავიძემ.

◆

„ა" კლასი I ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 27 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კიევი)	34	22	10	2	63—14	54
ასკ (როსტოვი)	36	20	7	9	54—44	47
„ნეფტიანიკი" (ბაქო)	35	17	9	9	53—28	43
„სპარტაკი" (მოსკოვი)	35	15	12	8	45—38	42
ცსკა	36	16	9	11	60—45	41
„ტორპედო" (მოსკოვი)	34	15	9	10	52—34	39
„დინამო" (მოსკოვი)	36	12	14	10	43—34	38
„დინამო" (თბილისი)	34	12	13	9	41—30	37
„პახტაკორი" (ტაშკენტი)	35	10	17	8	35—31	37
„შახტიორი" (დონეცკი)	36	15	7	14	32—35	37
„დინამო" (მინსკი)	36	11	13	12	36—39	35
„კაირატი" (ალმა-ათა)	36	12	11	13	30—39	35
„არარატი" (ერევანი)	36	12	10	14	30—45	34
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	36	10	13	13	29—36	33
„ზენიტი" (ლენინგრადი)	36	10	8	18	35—54	28
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	36	11	5	20	34—49	27
„ტორპედო" (ქუთაისი)	34	8	9	17	37—54	25
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	36	4	17	15	18—40	25
ასკ (ოდესა)	35	1	13	21	16—54	15

* * *

გუშინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი. ოდესის არმიელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს დონეცკის „შახტიორი".

მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

საბჭოთა კალათბურთის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი...

საუკეთესო იყო ვ. უგრეხელიძე

ლენინგრადში 24 ნოემბერს დაიწყო საბჭოთა კალათბურთის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ლატვიის, ლიტვის, რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. შეჯიბრების ალამი საზეიმო ვითარებაში აღმართეს სსრ კავშირის ქალთა და ვაჟთა გუნდების კაპიტნებმა ნ. პოზნანსკაიამ და გ. ვოლნოვმა, აგრეთვე, პეტერბურგისა და რუსეთის 1906 წლის ნაკრების კაპიტანმა ს. ვასილიევმა.

მრავალრიცხოვან მაყურებელთა და სპეციალისტთა საერთო აღიარებით, პირველი ტურის საუკეთესო მატჩი იყო საქართველოსა და ლატვიის ვაჟთა გუნდების შეხვედრა. ჩვენმა კალათბურთელებმა მოიპოვეს დამაჯერებელი გამარჯვება — 79:70 (43:32). საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა ცენტრალურმა თავდამსხმელმა კოვალენკომ (215 სმ), რომლის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყეს ვერც კრუმინშმა, ვერც ეგლიტისმა და ვერც დრაკემ. წარმატებით ითამაშა მოსეშვილმაც, მაგრამ პირველი ტურის საუკეთესო კალათბურთელი მაინც უგრეხელიძე იყო, რომელმაც გუნდს 25 ქულა შესძინა.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ქალები: რსფსრ — უკრაინა 63:59 (32:28), ლატვია — ლენინგრადი (ახალგაზრდული) 85:28 (48:12), ლენინგრადი—ლიტვა 57:33 (30:19); ვაჟები: ლიტვა — ლენინგრადი 75:52 (33:27), რსფსრ — უკრაინა 60:45 (30:22).

ტურნირის მეორე დღის შედეგები ასეთია: ქალები: ლენინგრადი — მოსკოვი 59:51, ლატვია—ლიტვა 69:35; ვაჟები: მოსკოვი—ლენინგრადი 76:69, ლატვია — ლიტვა 67:57, რსფსრ — ლენინგრადი (ახალგაზრდული) 70:39.

3 : 2

ოდესა, 26 ნოემბერი. გუშინ აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ჩერნომორეცი" და ბუქარესტის „პროგრესული".

გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3 : 2. ეს იყო სსრ კავშირში რუმინელთა ახლანდელი ტურნეს ბოლო თამაში.

გუშინ...

ნეაპოლში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ VI ჯგუფის წარმომადგენლები — იტალიისა და რუმინეთის ნაკრები გუნდები: **იტალია** — სარტი, ლანდინი, გუარნერი, ფაკეტი, ბიანკი, იულიანო, პიკი, დომენგინი, მაცოლა, დე პაოლი, კორსო; **რუმინეთი** — დატცუ, ბარბუ, დობრინი, დელეანუ, პოპა, ფრატილა, გერგელი, პირკალაბი, იანკუ, დრიდეა, ნუჩესკუ.

მატჩი რუმინელთა სწრაფი იერიშით დაიწყო და მე-7 წუთზე დობრინმა ანგარიში გახსნა — 1:0. ამის შემდეგ უპირატესობა მასპინძელთა მხარეს გადავიდა და 29-ე წუთზე მაცოლამ საპასუხო გოლი გაიტანა — 1:1. შესვენებამდე 2 წუთი იყო დარჩენილი, როცა დე პაოლიმ დააწინაურა თავისი გუნდი — 2:1.

მეორე ტაიმში იგივე სურათი გამეორდა: ჯერ რუმინელებმა შეუტიეს, მერე კი იტალიელმა თავდამსხმელებმა შავ დღეში ჩააგდეს რუმინელთა დაცვა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მაცოლა, რომელმაც 74-ე წუთზე კორსოს გადაცემიდან მესამედ აიღო სტუმართა კარი. შეხვედრის მიწურულში დრიდეას მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი ძლივს მოიგერია სარტიმ.

ამრიგად, გაიმარჯვა იტალიის ნაკრებმა — 3:1.

გაისად, 25 ივნისს, ბუქარესტში მოეწყობა საპასუხო შეხვედრა.

ახლა VI ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	ბ.	ქ.
იტალია	1	3:1	2
რუმინეთი	2	5:5	2
შვეიცარია	1	2:4	0
კვიპროსი	0	—	—

(საქ. ინფ.)

ფეხბურთი

საკავშირო
დეპეშათა
სააგენტო

ტასს

მოძმე რესპუბლიკებში

მედეოს გზით — მეხიკოს პრობლემებამდე

ყაზახეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგეს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს მ. ხვანს ციგურაობის მოყვარულები იცნობენ როგორც ახალგაზრდობის ნიჭიერ აღმზრდელს. მისი გაზრდილია ოცდაათზე მეტი სპორტის ოსტატი. ამას წინათ პერმის სამედიცინო ინსტიტუტმა ხვანს ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიანიჭა.

მომავალი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქის უჩვეულო, მაღალმთიანი პირობები დიდად აღელვებთ ოლიმპიელებსა და მათ მწვრთნელებს. ხვანი მრავალი წელია ავარჯიშებს მოციგურეებს მაღალმთიან მედეოში. სწორედ დიდი გამოცდილება დაეხმარა მას თეორიულად დაემუშავებინა სპორტული აკლიმატიზაციის საკითხი.

დისერტაციას რომ ამზადებდა, ხვანი აკვირდებოდა სამი სახეობის წარმომადგენლებს — მოციგურეებს, ველოსიპედისტებსა და ძალოსნებს. იგი ირწმუნება, რომ უჩვეულო გარემოში მოხვედრილი სპორტსმენი პირველივე დღიდან უნდა შეეჩვიოს მომავალ კონკრეტულ ფიზიკურ დატვირთვას და უკვე 7-10 დღის შემდეგ ჩადგება ფორმაში.

ცხოვრებაში და ეკრანზე

18 წლის ბაქოელმა ჭაბუკმა ხაიალ ახუნდზადემ პირველად შეასრულა ერთ-ერთი მთავარი როლი ფილმში „რად დუმხარ?“.

მისი გმირი გზის ოსტატი და გატაცებული მონადირეა. ხაიალი ძალიან კარგი იყო ნადირობის ეპიზოდებში. იგი იმდენად მარჯვედ ისროდა, რომ მონადირე-კონსულტანტებმა რეჟისორს „შეხჩივლეს“, კიდევ რამდენიმე ახეთი კადრი და ტყეში ფრინველიც აღარ დარჩებაო.

ახალგაზრდა მსახიობის წარმატება ძალიან იოლი ასახსნელი გამოდგა. ახუნდ-ზადე გამოცდილი მსროლელია და ჭაბუკ დინამოელთა შარშანდელი შეჯიბრების პრიზიორი სასტენდო სროლაში. წლეულს ხაიალს ერთბაშად ორი სიხარული ელოდა: ჯერ ერთი, დამთავრდა ფილმის გადაღება მისი მონაწილეობით, მეორეც,— აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ჩემპიონატში სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.

პირველ და მთავარ მწვრთნელად ხაიალი მამას, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს ი. ახუნდ-ზადეს მიიჩნევს. მან უკვე ორმოცდაათს გადაბიჯა. წარსულში საუკეთესო სპორტსმენი, ახლა საკავშირო კატეგორიის მსაჯია. ი. ახუნდ-ზადე უკვე 20 წელია ხელმძღვანელობს აზერბაიჯანის მსროლელთა ფედერაციას.

ახალგაზრდული ტურნირი

ის, ვინც ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, სპორტის მუზეუმში ყოფილა, უთუოდ მიაქცევდა ყურადღებას ევროპის თასს კრივში, რომელიც მოყვარულთა კრივის საერთაშორისო ასოციაციის (აიბა) პირველი პრეზიდენტის, ფრანგი ემილ გრემოს სახელს ატარებს. 1963 წელს დაწესებული ეს პრიზი ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს.

შარშან აიბა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა კრივის საბჭოთა ფედერაციის თაოსნობით გადაწყვიტა მორიგი ტურნირი ახალგაზრდული ყოფილიყო. ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ არა უმეტეს 21 წლის სპორტსმენები. შარშან ნოემბერში ბრძოლაში ჩაებნენ ბულგარეთის, გდრ-ის, საბერძნეთის, ირლანდიის, პოლონეთის, საფრანგეთის, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ახალგაზრდული გუნდები. ფინალში ისევე, როგორც ამ ორი წლის წინ, ამჯერადაც პოლონეთისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები გავიდნენ. პირველი მატჩი გაიმართება 27 ნოემბერს ლოძში, მეორე — რიგაში, 18 და 19 დეკემბერს.

პოლონელმა მოკრივეებმა იოლად როდი გაიკვლიეს გზა ფინალისკენ. საკმარისია გავიხსენოთ მათი მოკრძალებული მოგება შინ, გდრ-ის გუნდთან (6 : 4) და ფრე ირლანდიის ნაკრებთან დუბლინში.

ჩვენებს კი დიდად არ გასჭირვებიათ საფრანგეთისა და იუგოსლავიის მოკრივეთა დამარცხება. გუნდის შემადგენლობაში მუდამ გამოდიოდა რამდენიმე ახალბედა. მაგალითად, დონეცკში, ფრანგებთან საპასუხო მატჩში მხოლოდ ორი საბჭოთა მოკრივე იყო ლიონის შეხვედრის მონაწილე, ხუთი კი პირველად გამოვიდა საერთაშორისო სარბიელზე.

ოთხმა საბჭოთა სპორტსმენმა საერთაშორისო შეჯიბრებაში პირველად მიიღო მონაწილეობა კიევში, იუგოსლავიის ნაკრებთან ნახევარფინალური შეხვედრისას. აიბა-ს გენერალურმა მდივანმა, ინგლისელმა ჰ. ბენკსმა, რომელიც ასპარეზობას ესწრებოდა, თქვა, მასპინძლები გამოცდილი ოსტატებივით იბრძოდნენ, საბჭოთა ოლიმპიელებს ღირსეული ცვლა ეზრდებათო.

პირველი ფინალისთვის პოლონელები ვარშავაში ემზადებიან ცნობილი მწვრთნელის ფ. შტამის ხელმძღვანელობით.

შტამს ჯერ არ დაუსახელებია გუნდის საბოლოო შემადგენლობა, ჩვენი ნაკრების სია კი უკვე ცნობილია. აი, ისიც (წონითი კატეგორიების მიხედვით): მოსკოველი ნ. ნოვიკოვი, ნოვოსიბირსკელი პ. გორბატოვი, ალმაათელი ო. გუროვი, ტულელი ვ. ტიშკინი, ლენინგრადელი ა. დოლგოვი, მოსკოველი ა. კალინკინი, პენზელი ვ. გრუნიუშკინი, მოსკოველი ვ. ტარასენკოვი, კიეველი ნ. ნოვიკოვი და ა. ვასიუშკინი მოსკოვის ოლქიდან.

გუნდს ახლაც ეყოლება დებიუტანტი — გუროვი.

ჰ. ხაჩკოვანიანი.

ახალი ბაზა

ქალაქ კიროვსკში, ხიბინის მთებში, დაიწყო საბჭოთა კავშირში უდიდესი სამთო-სათხილამურო ბაზის მშენებლობა. აიკუაივენტჩორის მთაზე გავა უზარმაზარი, სპეციალური სლალომის ტრასა. ორი ამწე სპორტსმენებს აიყვანს ორიათასნახევარი მეტრის სიმაღლეზე, მთის მწვერვალზე, სადაც სასტუმრო აიგება.

მთის მისადგომებთან შენდება ოთხსართულიანი პანსიონატი უმეტესად ოროთახიანი კეთილმოწყობილი ბინებით. იგი ერთდროულად ორას კაცს უმასპინძლებს. პანსიონატი სპეციალური გასასვლელებით იქნება დაკავშირებული მეორე შენობასთან, სადაც განლაგდება სპორტული დარბაზი, სასადილო, კინოდარბაზი, საექიმო კაბინეტები და თხილამურების სახელოსნო.

საბჭ
ქვეყნ
დი ე
ბით მ
დებს ს
უზიარ
მაგალ
რეებს

ჩერნიგოვის ტ. შევჩენკოს სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში წლეულს გაიხსნა ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი. იგი მოამზადებს ფიზკულტურის მასწავლებლებს საშუალო სკოლებისთვის. პირველკურსელები უმეტესად I და II თანრიგის სპორტსმენები არიან. ამ ფაკულტეტზე სწავლობენ ოსტატობის კანდიდატები და სპორტის ოსტატებიც.

სურათზე: პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ვ. ფილიპოვი ატარებს მეცადინეობას სპორტულ ტანვარჯიშში. ძელზე ვარჯიშობს სტუდენტი-პირველთანრიგოსანი მ. მიტროფანოვა.

ფოტო ი. ოლეინიკისა (საკდესი).

კვიცი გვარზე ხტის... ▬ ხიზინის მ
ტების წინ ▬ ფეხბურთელები... ფა
ედელვეისი“ და სხვ. ▬ კაცი სამ ო

ყოველი

„ვარსკვლავი“... იკბინება

რეგბის მოყვარულები ირწმუნებიან, ეს თამაში ერთი შეხედვით უხეში ჩანს, მაგრამ გაცილებით ნაკლებ სახიფათოა, ვიდრე უფრო პოპულარული ფეხბურთიო.

თუმცა, ამას წინათ ჩატარებული ერთი მატჩი სულ სხვას მეტყველებს. ერთმანეთს ეთამაშებოდნენ ოქსფორდის უნივერსიტეტის ნაკრები და ინგლისში მყოფი ავსტრალიის რეგბისტთა გუნდი. ერთ-ერთ ოქსფორდელს... ყურზე უკბინეს. და უკბინეს ისე, რომ თექვსმეტგან გაკერვა დასჭირდა.

ავსტრალიელთა მწვრთნელმა „გმირი“, გუნდის თავდამსხმელი რ. კალენი დაუყოვნებლივ სამშობლოში დააბრუნა. „გასტროლიორი ვარსკვლავი“ რეგბის ისტორიაში თითქმის პირველად გაისტუმრეს კუდამოძუებული იმისთვის, რომ იკბინებოდა.

ფ. კატლერი.

ლონდონი.

სირბილი გინდა? — ფული გადაიხადე!

ყოველმა მძლეოსანმა, რომელსაც უკვე შეუსრულდა 17 წელი და სურვილი აქვს შეჯიბრებებში მიიღოს მონაწილეობა, წელიწადში 10 შილინგი უნდა გადაიხადოს. ასეთია ინგლისის მძლეოსნობის ფედერაციის გადაწყვე-

უჩვეულო ზაფხ

შენიშვნები სამთო-სათხილამურო სპორტზე

სსრ კავშირის სამთო-მოთხილამურეებს საზაფხულო არდადეგები ასე დაძაბულად არასოდეს გაუტარებიათ. შეჯიბრება შეჯიბრებაზე იმართებოდა. სასტარტო პისტოლეტებმა გაცივება ვერ მოასწრეს ტერსკოლში, რომ სპორტსმენები უკვე ახალ ტურნირზე — ხაკასში მიიჩქაროდნენ, შემდეგ კი კამჩატკის თოვლი ელოდათ ავაჩინის გორაკზე.

ყველაფერი ივლისში დაიწყო. პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, იუგოსლავიის, გდრ-ისა და სსრ კავშირის სამთო-მოთხილამურეებმა სასტუმრო „იტკოლში“, ტერსკოლთან ახლოს, ჩეგეტის მთის მისადგომებთან მოიყარეს თავი.

კაფე „ჩეგეტის“ ხახურავიდან საბაგირო გზას სპორტსმენები აჰყავდა თითქოს ცაში გამოკიდებულ კაფეში, რომელსაც „აი“ ჰქვია („აი“ ქართულად „მთვარეს“ ნიშნავს). ქვევით აყრილ ყლორტებად ჰყვაოდა კავკასიონის კალთები. მარცხნივ, 40 წუთის სავალზე, უღელტეხილისკენ კი კალთაშემოხვეული ზამთარი მიყუჟულიყო. სწორედ იქით მიდიოდნენ და მიდიოდნენ მოთხილამურეები, ახლაც ისე დატვირთულნი, როგორც იანვარში.

ტ. მონასტირიოვი, ს. ივანოვი, ა. ფილატოვი... რუმინელებმა, იუგოსლაველებმა და ჩეხოსლოვაკიელებმაც თავიანთი საუკეთესო სპორტსმენები მოიყვანეს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდში კი ბევრი ახალბედა იყო. მართალია, მომზადება არ აკლდათ, მაგრამ გამარჯვება მაინც შეჯიბრებებში ნაწრთობ „ძველ თაობას“ ხვდა. გიგანტური სლალომი მოიგო ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონმა ი. ჩერბაკმა, სპეციალური სლალომი — სსრ კავშირის ჩემპიონმა ს. ივანოვმა.

უცხოელი სტუმრები უაღრესად კმაყოფილი დარჩნენ „უმაღლეს კავკასიურ დონეზე“ შეხვედრით და ასეთი მატჩების ტრადიციად ქცევის სურვილი გამოთქვეს.

ხაკასი რსფსრ-ს ზონალური პირველობის მონაწილეებს — ციმბირისა და ურალის მოთხილამურეებს მასპინძლობდა. ოდესღაც ოქროს საბადოებით განთქმული, ახლა კარგა ხნის მიტოვებული კუზნეცკის ალა-თაუ კარვების ქალაქად იქცა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ რსფსრ-ს სტუდენტებიც, რომლებიც აქ თავიანთი საზაფხულო პირველობისთვის ემზადებოდნენ.

რსფსრ-ს საზაფხულო ჩემპიონატი დამთავრდა და „ბურევესტნიკის“ პირველობაც დაიწყო. მთელი ოთხი დღე ახმაურებდა თოვლიან ბილიკებს სპორტსმენებისთვის ესოდენ ნაცნობი ძახილი:

— მონაწილე სტარტისთვის მზადაა?.. ყურადღება!.. იარ!

მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, კრასნოიარსკის, პერმის, სარატოვისა და სხვა ქალაქების ასზე მეტი სტუდენტი გამოდიოდა თავის პირველ საზაფხულო ჩემპიონატში.

ამჯერად გუნდური გამარჯვება მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტებს ხვდათ. მეორე იყო მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სამთო-მოთხილამურეთა გუნდი. ეს კოლექტივები ძველი მეტოქეები არიან და ერთობ ხშირად იცვლიან ადგილებს — ხან ერთია წინ, ხან მეორე.

ქალთა გიგანტურ სლალომში (ხაკასი ასე გრძელ ტრასასაც გასწვდა) „ბურევესტნიკის“ ჩემპიონობა მოიპოვა სვერდლოვსკის სამთო ინსტიტუტის დიპლომანტმა, სპორტის ოსტატმა გ. მალოზიომოვამ. ივლისის სტარტებმა გამოავლინა მანამდე ნაკლებად ცნობილი პერმელი სპორტსმენის ს. დუბროვინას დიდი ნიჭიერებაც. დუბროვინამ მოიგო სლალომი, სწრაფდაშვება და სამთო სამჭიდი.

ზაფხულის შეჯიბრებამ კიდევ ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი სამთო-მოთხილამურის სახელი გვიკარნახა. სტუდენტთა საზოგადოების მწვრთნელებმა აქ „აღმოაჩინეს“ კემეროვოელი სტუდენტი ლ. ტინიკოვა და მისი თანამემამულეები — ვ. მოლჩანოვა და რ. ს

ასე რომ, ახლა ნაკრები გუნდის ლი ძალებით შესავსებად ზამთრ მისი პირველი სტარტების ლოდი ჭირო აღარაა.

სამთო-მოთხილამურეთა საზაფ კალენდარი შუა აგვისტოს ტურ ბით ამოიწურა. შორეულ აღმოსა ეწვივნენ უძლიერესი სპორტსმენ სსრ კავშირის ჩემპიონები და ტის ოსტატები ნ. მერკულოვა, ა ნიაევა, ვ. პანოვი და სხვ. ცხადი მარჯვებაც მათ დარჩათ.

მაგრამ ღირს კი ახლა, ნო დამლევს ასე დაწვრილებით ლა სამთო-სათხილამურო ზაფხულზე?

ვფიქრობთ, ღირს. უჩვეულო ზ ლი გახლდათ. ივლისისა და აგვ შეჯიბრებებმა სამთო-სათხილ სპორტისა და ტურიზმის ახალი ლებლობები გამოავლინა. მარ წამოიჭრა ახალი მოთხოვნებიც.

[illegible]

ა მწვრთნელები მხოლოდ ჩვენი ოსპორტსმენთა აღზრდის საქმეს როურებიან. ბევრი მათგანი წარმატემობს სხვადასხვა ქვეყანაში, — ამზაურ გუნდებს, თავის გამოცდილებას უცხოელ კოლეგებს. ე. სოპოვი, დ, ბერლინშია და გდრ-ის მოციგურთნის.

ს უ რ ა თ ზ ე: ე. სოპოვი (ცენტრში) მოციგურეთა ერთ-ერთი საწვრთნელი მეცადინეობის დროს. მარცხნიდან მარჯვნივ — რ. კლერი, მწვრთნელი ე. ლოვენბერგერი, ჰ. ფრესე, ჰ. მიულერი, ვ. შრამი, გ. შვეზიგი, ი. ფოკი და ჯ. სტრიოხი.

ფოტო ადნ-საკდესისა.

ებს დაამშვენებს ▬ საინტერესო სტარ-
ული კენჭისყრით ▬ „ვერცხლის
ილამურზე ▬ რბოლა კი გრძელდებოდა

მხრიდან

ტილება. იგი ნაკარნახევია კატასტროფული ფინანსური მდგომარეობით, — ფედერაციამ წლევანდელ სეზონში 5000 გირვანქა სტერლინგი იზარალა.

ლონდონი.

„სიკვდილის კონვეიერი“ მუშაობს

სპორტული ჟურნალისტები პროფესიონალთა ავტორბოლებს სიკვდილის კონვეიერს ეძახიან. იგი სულ უფრო მეტ და მეტ სიცოცხლეს იწირავს. ახლახან მისი მსხვერპლი შეიქნა ამერიკის ავტორბოლების ვეტერანი, 46 წლის დონ ბრანსონი.

მასზე ამბობდნენ, შელოცვილიაო. ხუმრობა საქმეა? ბრანსონმა უხიფათოდ ჩაატარა 7 ყოველწლიური რბოლა ინდიანაპოლისში, 500-კილომეტრიან დისტანციაზე, „ეშმაკის წრეს“ რომ ეძახიან. მაგრამ ამერიკის ორგზის ჩემპიონს საავტომობილო სპორტში ბედმა უმუხთლა. ეს მოხდა ასკოტში, ლოს-ანჟელოსთან. ბრანსონს 30 წრე უნდა გაევლო, მაგრამ უკვე მეხუთე შემოვლისას ვირაჟზე მანქანა ვერ დაიმორჩილა, კედელს დაეჯახა და გადაბრუნდა. ამ დროს ბრანსონის მანქანას მეორე ამერიკელი მრბოლელის, დ. ატკინსის ავტოც მოაწყდა. სანიტრები რომ მოვიდნენ, ბრანსონი მკვდარი იყო. ატკინსი საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა.

რბოლა კი გრძელდებოდა...

ნიუ-იორკი.

ოლი

ლიან მასივებზე ამწევები უნდა დაიდგას და ტურისტული ბაზები აიგოს. მაგრამ დანახარჯს ერთი ასად ავინაზღაურებთ. ზაფხულის თოვლიან ბილიკებზე მოსწავლეები და სტუდენტები კარგად დაისვენებენ, ბევრსაც ისწავლიან.

ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქის ქუჩებში ჯერ ისევ ოქროსფრად ილვენთება შემოდგომა. ზამთრის სპორტული სეზონი ეს-ესაა იწყება, სპორტსმენები კი მას მზად ხვდებიან და ახლაც, როგორც ივლისში, მოთხილამურეებს ფართოდ გაუღებს კარს სასტუმრო „იტკოლი“. საბაგირო გზაც ძველებურად ატარებს სტუმრებს კაფე „ჩეგეტიდან“ კაფე „აიმდე“, ფიფქი თოვლი პირველი ნაკვალევით დაისერება.

წლევანდელი ზამთარი ზაფხულზე ნაკლებ „მცხუნვარე“ როდი იქნება მოთხილამურეებისთვის. წინაა სსრ კავშირის ჩემპიონატი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საიუბილეო სტარტები, ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი უძლიერესთა ტრადიციული შეჯიბრება, და რა თქმა უნდა, „ვერცხლის ედელვეისი“.

ვინ იცის, იქნებ ამ ზამთარს დიდ სამთო-სათხილამურო სპორტში მკვიდრად მოიკიდონ ფეხი იმ კემეროვოელმა სპორტსმენებმა, ზაფხულში რომ გაგვაცნეს თავი.

ე. სემიონოვა.

საკრამენტოელი (კალიფორნია, აშშ) ჯიმ გრეჰემი ისეთი კაცი არ არის, რომ ცხოვრებაზე ხელი იოლად ჩაიქნიოს. შარშან ჯიმს ფეხი მოჰკვეთეს მუხლთან (ძვლის ქრონიკული ინფექცია ჰქონდა), მაგრამ ვერც ამ უბედურებამ დაავიწყა 23 წლის გატაცება — თხილამურები. სრიალის დროს იგი ხელოვნურ ფეხს არც კი ხმარობს, ცალ თხილამურს ეყრდნობა და წონასწორობის დასაცავად ჯოხებს — „აუტრიგერებს“ იყენებს.

დიდი სტადიონის ზამთარი

ახლახან შესრულდა 10 წლისთავი ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის აგებიდან. როგორი იქნება მისი მეთერთმეტე ზამთარი? სწორედ ამის თაობაზე ესაუბრა აას-ის კორესპონდენტს ა. ჩისტოვს სტადიონის დირექტორი *მ. ბორისოვი.*

— პირველ ყოვლისა, მინდა ორიოდე სიტყვა გითხრათ ჩვენი სტადიონის მასშტაბებზე. ეს გახლავთ უზარმაზარი სპორტული კომპლექსი, რომელიც მოიცავს დიდ და პატარა სარბიელს, სპორტის სასახლეს, საცურაო აუზს, დახურულ საწვრთნელ საციგურაოს — „კრისტალს“, საბავშვო და ჩოგბურთის ბაქნებს, 22 სპორტულ დარბაზს, ფეხბურთის 8 მინდორს, 4 მძლეოსნურ სექტორს 400-მეტრიანი სარბენი ბილიკებით, ფრენბურთის 20, კალათბურთის 13, ქალაქობანას 6 მოედანს, 2 სათხილამურო ბაზას. სტადიონის ტერიტორიაზე (180 ჰექტარი) განლაგებულია სამკურნალო-ფიზკულტურული დისპანსერი, 350-ადგილიანი სასტუმრო, სპორტის მუზეუმი, მეთოდური კაბინეტი, სტამბა, სპორტული ტანსაცმლის მოდელების სახლის ატელიე, სპორტული საქონლის მაღაზია, სპეციალური მშრალი აბანო სპორტსმენებისთვის, კინოთეატრი, 2 რესტორანი, 7 კაფე, 50 ბუფეტი, კინოსტუდია „სპორტფილმი“...

ამ ჭეშმარიტად სპორტული ქალაქის მოსახლეობა 20 ათასი კაცია. ზუსტად ამდენივე მოსკოველი სპორტის მოყვარული, დიდი თუ პატარა, მოდის ყოველდღიურად ლუჟნიკში. არას ვამბობ იმ გულშემატკივრებზე, დიდი ასპარეზობების დროს რომავსებენ ტრიბუნებს. ეს 20 ათასი კაცი სისტემატურად ვარჯიშობს ჩვენს სტადიონზე, იმაღლებს სპორტულ ოსტატობას, ან ჯანს იკაჟებს. ტყუილად როდი ეძახიან ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონს სპორტული ოსტატობის ყველაზე მასობრივ სკოლას. სიტყვამ მოიტანა და გეტყვით, რომ აქ 31 სახეობაში წარმოებს მეცადინეობა

როგორც მუდამ, სტადიონი ამ ზამთარსაც სრული დატვირთვით იმუშავებს. სპორტის მოყვარულთა განკარგულებაში იქნება ყველა დარბაზი, მოედანი, ბაზა. კვლავ იმეცადინებენ საერთოფიზიკური მომზადების ჯგუფები. მათში კი ათასამდე კაცია ჩაბმული, უმეტესად ხანდაზმულები.

სტადიონზე ივარჯიშებენ ფეხბურთელები და მძლეოსნები, ტანმოვარჯიშეები და მოკრივეები, ძალოსნები და მოჭიდავეები, მოფარიკავეები და ველოსიპედისტები. სპორტის სეზონურობა ხომ კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა და ახლა ყველა საზაფხულო სახეობის წარმომადგენლები მთელი წლის მანძილზე განაგრძობენ წვრთნას. ლუჟნიკში ჩატარდება სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები, სადაც მსოფლიოს სპორტის ვარსკვლავები მოიყრიან თავს.

ჩვენთან კვლავ გააგრძელებენ მუშაობას სპორტული გამაჯანსაღებელი ჯგუფები, 10 ათასამდე წევრს რომ ითვლიან. ამ ჯგუფებში მეცადინეობენ ათლეტური ტანვარჯიშის, ყინულზე ცეკვის, ფიგურული სრიალის, მხატვრული ტანვარჯიშის, სამკურნალო ცურვის, ჩოგბურთის, ბადმინტონის, წყალბურთისა და სხვა სახეობათა მოყვარულები. როგორც მუდამ, სტადიონის მოედნებსა და ხეივნებში მოეწყობა საციგურაო, რომლის საერთო ფართობიც ყინულის 120 ათასი კვ მეტრია. ამ ფართობში შედის ჰოკეის 4 და ფიგურული სრიალის 8 მოედანი. გასაქირავებლად მოვიმარაგეთ 2 ათასი ციგურა, მზადაა გასახდელები 13 ათასი მომეცადინისთვის. მალე გაიხსნება სათხილამურო ბაზა, სადაც მსურველს შეუძლია თხილამური იქირაოს.

ლუჟნიკში ამ ზამთარს ბევრი დიდი შეჯიბრება ჩატარდება. სპორტის სასახლეში უკვე მიმდინარეობს საკავშირო პირველობა ჰოკეიში. გათვალისწინებულია შეხვედრები მოყვარულთა საკმაოდ ძლიერ გუნდებთან — ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებ კოლექტივებთან და კანადის კლუბებთან. შეიძლება ჩამოვიდეს კანადის, ან აშშ-ის ერთ-ერთი პროფესიული გუნდიც. ჩვენთან გაიმართება ძალოსანთა საერთაშორისო ასპარეზობაც („მოსკოვის პრიზზე“), მძლეოსანთა და ფიგურული სრიალის ოსტატთა შეხვედრები.

დასასრულ, მინდა მოგაგონოთ ტრადიციული საახალწლო ნაძვის ხე ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, რომელსაც სპორტის სასახლეში ვაწყობთ. ჩვეულებრივ, ამ სადღესასწაულო სანახაობას მილიონობით მოსკოველი და ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში სტუმრად ჩამოსული ბავშვი ესწრება.



საფეხბურთო კალეიდოსკოპი

●

დიდი მეკარეების პატარა ეშმაკობანი

ცნობილ ადამიანთა პატარა ეშმაკობანი... ორ განთქმულ მეკარეს — ფ. პლანიჩკას და ფ. სვიფტს ჰქონდათ თავიანთი პროფესიული საიდუმლოებანი.

ინგლისის ნაკრების მეკარე ფ. სვიფტი აწარმოებდა დღიურს, სადაც დაწვრილებით იწერდა, თუ როგორ არტყამდნენ საჯარიმოს ყველა გუნდის ფეხბურთელები, რომლებთანაც კი მას თამაში უწევდა. სვიფტის გულმოდგინე მუშაობას უქმად არ ჩაუვლია: იგი, როგორც წესი, ოთხიდან სამ პენალტს იგერიებდა.

აი, განთქმული ჩეხოსლოვაკიელი მეკარის ფ. პლანიჩკას „საიდუმლოება“. როცა მოწინააღმდეგე ემზადებოდა 11-მეტრიანი დარტყმის შესასრულებლად, პლანიჩკა განრისხებული სახით იწყებდა რბენას ერთი ძელიდან მეორისკენ, ხოლო შემდეგ, თითქოს შემთხვევით, ქუდს კარის კუთხეში ისროდა. პლანიჩკამ მხოლოდ მას შემდეგ აღიარა ეს საიდუმლოება, როცა თამაშს თავი დაანება: „90 შემთხვევაში 100-დან პენალტის დამრტყმელი ირჩევდა სწორედ იმ კუთხეს, საითაც ქუდს ვისროდი ხოლმე. მე ადრევე ვხტებოდი იქით და ბურთის აღებაც არ მიჭირდა. ამას მეშვეობით ვიღებდი ყოველ მეორე პენალტს“.

კარში დგას ბებია

ამას წინათ ჩეხოსლოვაკიაში შედგა მატჩი, რომელმაც მაყურებლებს დიდი მღელვარება მოუტანა. ერთმანეთს ხვდებოდნენ ფეხბურთელ ქალთა გუნდები — „დობრიკოვიცი“ და „ვსერადიცი“. მაყურებლებს ძალიან მოეწონათ 50 წლის ბებია ბ. ბარტასოვა, რომელიც მედგრად იცავდა თავისი გუნდის კარს. მხოლოდ მატჩის ბოლო წუთზე გამოირკვა გამარჯვებული, როცა ბ. ბარტასოვას მოუხდა მეორე ბურთის გამოტანა თავისი კარიდან. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „ვსერადიცმა“.

ახლა სრული წესრიგია

ერთობ უჩვეულო ხერხით აკომპლექტებენ გუნდებს იტალიურ ქალაქ ტოგნიში. კლუბის წევრები ყოველ კვირას იკრიბებიან თათბირზე და ღებულობენ ამომრჩევლის ბიულეტენებს. თვითეული მათგანი თავის ბიულეტენში წერს იმ 11 ფეხბურთელის გვარებს, რომლებიც მას უძლიერესად მიაჩნია. ფეხბურთელები, რომლებიც ამ ფარული კენჭისყრის შედეგად ღებულობენ ხმათა უმრავლესობას, თამაშობენ მთელი შემდგომი კვირის მანძილზე.

კლუბის პრეზიდენტმა განაცხადა: „ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ახლა ვერც ერთი გულშემატკივარი ვერ გვესვრის ქვას მაშინაც კი, თუ ვმარცხდებით“.

ა. დი სტეფანო პრობლემის წინაშე

ცნობილმა ესპანელმა ფეხბურთელმა ა. დი სტეფანომ სარფიანი წინადადებების მოლოდინში ქათმების მოშენებას მიჰყო ხელი თავის ფერმაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალშექმნილმა პროფესიულმა საფეხბურთო ლიგამ მას წინადადება მისცა მიეღო ტექნიკური კონსულტანტის თანამდებობა, რის საფასურად წელიწადში 5 მილიონი პესეტი აღუთქვა!

გაბედავს თუ არა „ექს-ვარსკვლავი“ დაუკავშიროს თავისი სახელი „უკანონო“, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში აღურიცხავ ახალ ლიგას, რომლის აგენტებიც ახლა მთელ მსოფლიოში არიან მოდებული? თუ ა. დი სტეფანო ამას გადაწყვეტს, იგი ავტომატურად კარგავს უფლებას იმუშაოს მწვრთნელად იმ ქვეყნებში, რომლებიც შედიან ფიფა-ს შემადგენლობაში.

საიუბილეო სპარტაკიადებს — ღირსეული შეხვედრა!

რევანში შედგა

სსრ კავშირის საუკეთესო გუნდებთან ამხანაგური მატჩები კარგ ტრადიციად იქცა ჩვენს რესპუბლიკაში. ამას წინათ ქუთაისის სტენდზე ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ჩემპიონი — უკრაინის გუნდი და საქართველოს ნაკრები.

ამ ორი კოლექტივის შარშანდელ შეჯიბრებაში (სევასტოპოლში) უკრაინელებმა იმარჯვეს. ცხადია, ახლა მასპინძლები რევანშისთვის იბრძოდნენ, მაგრამ მეტოქის ძლიერი, გამოცდილი კოლექტივი, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ სსრ კავშირის ნაკრების წევრები, მრავალ საერთაშორისო ბრძოლაში ნაწრთობი მსროლელები ვ. ზიმენკო, ა. კაპლუნი, ვ. კამპფი, ნ. ბელოგლაზოვი, ვ. სლუხოვსკი და სხვები, ასე იოლად არ აპირებდა გამარჯვების დათმობას.

შეჯიბრება ხალხთა IV სპარტაკიადის პროგრამით გაიმართა: როგორც ადგილიდან, ისე მრგვალ სტენდზე სროლაში მეტოქეებს 4-4 ნაცადი და თითო ახალბედა მსროლელი გამოჰყავდათ. ამასთან, ყველა სპორტსმენს 200-200 სამიზნე უნდა მიეღო.

ტურნირი დაიწყო. მიუხედავად ძლიერი ქარისა, მასპინძლები პირველივე სერიაში დაწინაურდნენ — 125 შესაძლებლიდან 107 ქულა მოაგროვეს. სპორტის ოსტატ ზ. მაჩხანელს არც ერთი ტყვია არ გასცუდებია. მხოლოდ თითო სამიზნეს დააცილეს საქართველოს წლევანდელმა ჩემპიონმა ვ. ალავერდოვმა და უკრაინის გუნდის ლიდერმა ვ. ზიმენკომ.

მეორე სერიის წინ სტუმრები 6 ქულით ჩამორჩებოდნენ, მაგრამ წაგების საფრთხემ ისინი თითქოს გამოაფხიზლა, — ახლა მეტი გულმოდგინებით, დაფიქრებით ისროდნენ და, მართლაც, მეორე და მესამე სერიებში ერთნაირი შედეგი (107 ქულა) აჩვენეს მაშინ, როცა მასპინძლებმა 98 და 104 ქულა მოაგროვეს. პირად პირველობაში ლიდერობა ისევ მაჩხანელმა შეინარჩუნა — 75-დან 70 სამიზნე დაამსხვრია. მეორე იყო საერთაშორისო ოსტატი კ. დარასელია (68 ქულა), მესამე — ვ. ზიმენკო (67), მეოთხე — ვ. სლუხოვსკი (66), მეხუთე — ვ. ალავერდოვი (64).

მეოთხე სერიაში წარუმატებლად ისროლეს ვ. ზიმენკომ და კ. დარასელიამ — 19 და 18 ქულა შესაბამისად (მათ ამ დღეს V და VI ადგილები ხვდათ). სამაგიეროდ, ალავერდოვმა ქარს კარგად აუღო ალღო: 23 სამიზნე დაამსხვრია და III ადგილზე დამკვიდრდა. მეორე იყო სლუხოვსკი — 90 ქულა. მაჩხანელმა მას 3 ქულით გაუსწრო.

მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა მატჩის მეორე დღეს უნდა თქმულიყო. შეჯიბრების განახლებამდე ჩვენი ადგილიდან მსროლელები გუნდურ ჩათვლაში 3 ქულით აგებდნენ. ამინდი კიდევ უფრო გაუარესდა, მაგრამ მასპინძლებმა მაინც შეძლეს ძალ-ღონის მოკრება და არა თუ აანაზღაურეს დანაკარგი, გამარჯვებასაც მიაღწიეს: სტუმრებს ამ სახეობაში 38 ქულით გაასწრეს — 700 : 662.

რაც შეეხება პირად პირველობას, მაჩხანელმა 200 შესაძლებლიდან 182 ქულა მოაგროვა და პირველობაც გაინაღდა. II ადგილზე გადაინაცვლა კ. დარასელიამ, რომელმაც იმ დღეს ყველაზე კარგი შედეგი (91 ქულა) მოიპოვა (საბოლოოდ მან 177 ქულა მოაგროვა). III ადგილიც საქართველოს გუნდის წევრს — ვ. ალავერდოვს ხვდა — 174.

სხვაგვარად წარიმართა შეჯიბრება მრგვალ სტენდზე სროლაში. საქართველოს ჩემპიონს, თბილისელ სპორტის ოსტატს ტ. ჟღენტს პირად პირველობაში გამარჯვებისთვის ძირითადად ებრძოდნენ გამოცდილი უკრაინელები კამპფი და კაპლუნი. ჟღენტმა სროლა მშვიდად, აუღელვებლად დაიწყო, 23 სამიზნე დაამსხვრია და პირველსავე სერიაში უახლოეს მეტოქეს კამპფს 1 ქულა მოუგო. მეორე სერიაში ქართველმა ოსტატმა სხვაობა კიდევ 1 ქულით გაზარდა, მაგრამ სამაგიეროდ მესამე და მეოთხე სერიებში მან თითო სამიზნეს დააცილა. კამპფმა კი არა. ამრიგად, კამპფმა და ჟღენტმა 94-94 ქულა მოაგროვეს. კაპლუნი მათთან 3 ქულით აგებდა.

გუნდურ ჩათვლაში 5 ქულით დაწინაურდნენ უკრაინელები.

მეორე დღეს კამპფმა ვეღარ გაუძლო დაძაბულ ჭიდილს და ჩამორჩა. ჟღენტმა იმ დღეს 89 ქულა მოაგროვა, საბოლოოდ კი 183 და I ადგილიც დაისაკუთრა. მეორე იყო კამპფი — 180 ქულა, III კაპლუნი — 175. კომპლექსურ გუნდურ ჩათვლაში მასპინძლებს 1677 ქულა აღმოაჩნდათ, სტუმრებს — 1671. ამრიგად, ქართველმა სპორტსმენებმა რევანში აიღეს.

სხვათა შორის, საქართველოს გუნდის წევრმა ტ. ჟღენტმა ადგილიდან სროლაში მხოლოდ 141 ქულა მოაგროვა, მაშინ, როცა უკონკურსოდ მონაწილე ა. ბუკიამ 27 ქულით უკეთესი შედეგი აჩვენა. ნაკრების ხელმძღვანელობას რომ ძალები სწორად გაენაწილებინა, ვფიქრობთ, საერთო ჩათვლაში ჩვენების გამარჯვება უფრო დამაჯერებელი იქნებოდა.

ა. ბაქრაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი.

ოთხი წელი ინდოეთში

„მისტერ თაყაიშვილი უარზეა!“ — იუწყებოდა დელის ერთ-ერთი გაზეთი. ეს სენსაცია იყო. ინდოეთის ტანმოვარჯიშეთა ეროვნულმა ნაკრებმა პირველად მოიპოვა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება და საბჭოთა მწვრთნელმა ნიკოლოზ თაყაიშვილმა, რომელმაც მოამზადა გუნდი, ტოკიოში წასვლაზე უარი თქვა: ინდოეთის ტანვარჯიშის მომავლისთვის ჯობს გუნდს აქაური მწვრთნელი გაჰყვესო.

მისმა გადაწყვეტილებამ ბევრი გააოცა. წასვლა კი ნიკოლოზს ძალიან სურდა, მაგრამ თქვა და არ დაიშალა, ოლიმპიურ თამაშებში თავისივე აღზრდილი ინდოელი მწვრთნელი გაუშვა.

ნიკოლოზ თაყაიშვილს საბჭოთა ტანვარჯიშის ისტორიაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკუთვნის. ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა, არა ერთი საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილემ, ესტაფეტა მათგან მიიღო, ვისი სახელი დღესაც მოწიწებით მოიხსენიება. საუკეთესო ტანმოვარჯიშის ა. ჯორჯაძის მოწაფემ დიდხანს სასახელოდ ატარა ქართული ტანვარჯიშის ალამი და საყვარელი საქმისთვის არც შემდეგ უღალატია: როგორც საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელმა, ბევრი კარგი ტანმოვარჯიშე აღზარდა.

კოკა, როგორც მას მეგობრები ეძახიან, მუდამ გამოირჩეოდა თავმდაბლობითა და მუყაითობით. სწორედ ამიტომ იყო, რომ, როცა ინდოეთის მთავრობამ ტანვარჯიშის საბჭოთა სპეციალისტი მოითხოვა, არჩევანი თაყაიშვილზე შეჩერდა. იგი ინდოეთის სპორტის ეროვნულ ინსტიტუტში, ფენჯაპის შტატის ქალაქ პატიალაში მიიწვიეს. ეს სასწავლებელი მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებს ამზადებს. კოკას ჩასვლამდე იქ მისი მეგობარი თ. სანებლიძე მუშაობდა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ტანვარჯიშს ინდოეთში.

უცხო გარემო, უცნობი ხალხი, ენის უცოდინარობა, გაურკვეველი პროგრამა, მსაჯობის არეული წესები. არც სახელმძღვანელოები ჰქონდა და პირველ ხანს გაუჭირდა ქართველ მწვრთნელს, მაგრამ თავდადებულმა შრომამ ნაყოფი გამოიღო: ერთი წლის თავზე ფენჯაპის შტატის ტანმოვარჯიშეთა ნაკრებმა ინდოეთის ჩემპიონობა მოიპოვა.

ასპარეზობის გმირი თაყაიშვილის უმცროსი ქალიშვილი ნანა გახლდათ. მან ოქროს 3 მედალი მოიპოვა და ინდოეთის აბსოლუტური ჩემპიონის წოდებაც დაისაკუთრა (ამის თაობაზე „ლელოს“ ფურცლებზე ადრეც დაიბეჭდა). ნანას დამსახურება იყო ისიც, რომ ინდოელი ტანმოვარჯიშე გოგონები საასპარეზოდ ეროვნული ფართო შარვლების ნაცვლად სამდვილ სპორტულ ტანსაცმელში გამოვიდნენ.

კოკას მეუღლე ტანია ექიმია. იგი უსასყიდლოდ მკურნალობდა ნაცნობსა თუ უცნობს და დღესაც მოსდის ინდოეთიდან მადლობის წერილები.

კოკა მარტო გუნდის წვრთნას როდი სჯერდებოდა. იგი წერდა მეთოდურ წერილებს, არჩევდა მსაჯობის წესებს, ატარებდა სემინარებს, თარგმნიდა საბჭოთა ლიტერატურას, ხელმძღვანელობდა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს და სხვ. მან 4 წელი დაჰყო ინდოეთში და სამშობლოში დაბრუნებულს თან ჩამოჰყვა ინდოელი ხალხის სიყვარული.

— თქვენი მუშაობა ჩვენთან ძალიან სასარგებლო და ნაყოფიერი იყო. თქვენ ბევრი გააკეთეთ ინდოელი ხალხისთვის, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ. იმედია, კიდევ შევხვდებით, — ამ სიტყვებით დაემშვიდობა ქართველ მწვრთნელს ინსტიტუტის დირექტორი, გენერალი მაჰინდრა ჩოპრა.

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნ. თაყაიშვილი ახლა კვლავ თბილისშია და რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეთა ნაკრებ გუნდს სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის ამზადებს.

გ. ყირმელაშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტის მასობრივი სახეობების ფაკულტეტის დეკანი, სპორტის ოსტატი.

• • •

სურათზე: ნ. თაყაიშვილი ემშვიდობება ნორჩ პატიალელ ტანმოვარჯიშეებს.




უსიტყვოდ

საათი!

მოსკოვი, 26 ნოემბერი. ამხანაგური შეჯიბრებების გასამართავად დღეს იაპონიას გაემგზავრა საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეთა გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც არიან ქართველი სპორტსმენები ა. ჯანუყაშვილი და რ. ბერიკაშვილი.

თეირანი, 26 ნოემბერი. დღეს აქ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „დარაისა“ და ერევნის „არარატის“ ფეხბურთელთა გუნდები. თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ხვალ

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ თბილისის განყოფილების ლექტორიუმში (ლენინის ქ. № 35) შედგება საქალაქო განყოფილებისა და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პროპაგანდის ფედერაციის ინტერნაციონალური აღზრდის სახალხო უნივერსიტეტის მეცადინეობა.

დასაწყისი 17 ს. 30 წ.

თბილისის სპორტული [illegible]

ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი. **სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი. დღეს: „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი).** ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს.

ქართული ჭიდაობა. სპორტის სასახლე. **27-28-29 ნოემბერი. საქართველოს პირადი პირველობა უმლიერეს სპორტსმენთა მონაწილეობით.** დასაწყისი 12 ს. და 18 ს.

მხატვრული ტანვარჯიში. „გამთიადის“ სპორტდარბაზი (პლეხანოვის პრ. № 95). **დღეს: სპორტსაზოგადოებათა და ფიზკულტურული კოლექტივების საქალაქო პირად-გუნდური პირველობა გოგონათა შორის.** დასაწყისი 13 ს.

სასტენდო სროლა. მონკავშირის სასროლეთი (ვაკე). **დღეს: ქალაქის თასის გათამაშება.** დასაწყისი 9 ს.


ნახ. ვ. მჭედლიშვილისა.


ნახ. ა. ხვოტარენკოსი.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 06148